საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დონდუკოვ-კორსაკოვი ალექსანდრე მიხეილის ძე

დონდუკოვ-კორსაკოვი ალექსანდრე მიხეილის ძე [12(24). IX. 1820, სანქტ-პეტერბურგი, – 15(27). IV. 1893, სოფ. პოლონაია, ფსკოვის გუბ.], კავკასიის მთავარმართებელი 1882–90. თავადი, გენ.-ადიუტანტი (1869), კავალერიის გენერალი (1878). დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი, რის შემდეგაც სამხ. სამსახური დაიწყო.

მონაწილეობდა კავკასიის (1845–51), ყირიმის (1853–56), რუს.-ოსმ. (1877–78) ომებში. 1869–76 იყო კიევის, ვოლინის, პოდოლსკის გუბერნიების გენ.-გუბერნატორი, 1878–79 – უზენაესი კომისარი ბულგარეთში, 1880–82 ხარკოვის გენ.-გუბერნატორი.

1881 ალექსანდრე III-ის ტახტზე ასვლის შემდეგ მთელ იმპერიას და განსაკუთრებით მის კოლონიებს რეაქციის ხანა დაუდგათ. 1882 გააუქმეს კავკასიის სამეფისნაცვლო. კავკასია კარგავდა იმ შეკვეცილ ადმ. ავტონომიას, რ-იც მას მანამდე ჰქონდა. 1882 ცარიზმის ერთგული დ.-კ. კავკ. სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლად და კავკ. სამხ. ოლქის ჯარების სარდლად დანიშნეს. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა კავკ. მმართველობის ახ. დებულება, რ-იც 1883 შევიდა ძალაში.

იგი ატარებდა რეაქციულ კოლონ. პოლიტიკას: კ. იანოვსკის ინიციატივით სკოლებში ჯერ შეიზღუდა, 1885-იდან კი საერთოდ აიკრძალა ქართ. ენის სწავლება; ქართვ. ერის დაშლა-დანაწილების მიზნით რეაქციონერებმა მეგრელები, სვანები, აჭარლები არაქართველებად გამოაცხადეს და შეუდგნენ მეგრული და სვანური უმწერლობო ენებისათვის რუს. ანბანზე დაყრდნობით ანბანისა და სახელმძღვანელოების შედგენას; სდევნიდნენ და ავიწროებდნენ ქართ. ეკლესიას; მკაცრი ცენზურა დაუწესეს ქართ. პრესას; იდევნებოდნენ ქართვ. ეროვნ. მოღვაწენი. დ.-კ-ის დასმენითა და მითითებით გადაასახლეს

სტავროპოლში დ. ყიფიანი.

1890 დ.-კ. კავკასიიდან გადაიყვანეს და სახელმწ. საბჭოს წევრად დანიშნეს.

თხზ: Записки о положении Закаспийской области, СПб., 1887; Мои воспоминания, ч. 1–2, СПб., 1902–03.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970.